საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 158/01
08/01/2021

158-01-2-202101080928

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიას

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 29 და 31 დეკემბრის წერილები (სამინისტროში რეგისტრაციის ნომრებით: №20860; N21170), რომლებიც ეხება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 11 ოქტომბრის N2-827 ბრძანების მე-13 მუხლის გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ ქ. თბილისში, სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის ტერიტორიაზე არსებული ბეკარის (ბიო-თერმული) ორმოს (ნარჩენების განთავსება) ექსპლუატაციის გზშ-ის ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტაციას.

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 47-ე მუხლის მე-15 ნაწილისა და „ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შედგენისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 11 ოქტომბრის №2-827 ბრძანების მე-13 მუხლის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებელი მის მიერ მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში სრულად შესრულების შემთხვევაში, რაც დასტურდება სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგად, უფლებამოსილია მომართოს სამინისტროს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად.

შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 18 დეკემბრის №2-1230 ბრძანებით დადგენილი პირობების შესრულების შესახებ ინფორმაციის დადასტურებამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის

მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე